



სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-04/53

15.07 2020 წ.

არჩევითი, თავისუფალი და აკადემიურ დავალიანებაში დარჩენილ ასათვისებელ სასწავლო კურსებზე სტუდენტთა დარეგისტრირებისა და შესაბამისი სასწავლო ჯგუფების დაკომპლექტების შესახებ

არჩევითი, თავისუფალი და აკადემიურ დავალიანებაში დარჩენილ ასათვისებელ სასწავლო კურსებზე სტუდენტთა დარეგისტრირების პროცესის ორგანიზებულად წარმართვისა და შესაბამისი სასწავლო ჯგუფების დაკომპლექტების მიზნით, ვბრძანებ:

1. არჩევითი, თავისუფალი და აკადემიურ დავალიანებაში დარჩენილ ასათვისებელ სასწავლო კურსებზე სარეგისტრაციო პროცესი განხორციელდეს აწსუ-ს ფაკულტეტებზე.
2. სარეგისტრაციო პროცესის განხორციელებისათვის გამოყენებული იქნას კომპანია Microsoft - თანამშრომლობის ფარგლებში შეძენილი საოფისე პროდუქტები, კერძოდ MS Forms.
3. სარეგისტრაციო პროცესი განხორციელდეს 2020 წლის 1 სექტემბრიდან 7 ოქტომბრის ჩათვლით.
4. განისაზღვროს სტუდენტთა რეგისტრაციის შემდეგი ვადები 2020-2021 სასწავლო წლის სემესტრებისათვის:
 - III-V-VII სემესტრის სტუდენტები არჩევანს ახორციელებენ 1 სექტემბრიდან 20 სექტემბრის ჩათვლით;
 - II-IV-VI-VIII სემესტრის სტუდენტები არჩევანს ახორციელებენ საშემოდგომო სემესტრის საგამოცდო სესიის დამთავრებიდან ორი კვირის განმავლობაში იმის გათვალისწინებით, რომ ცალკეულ სასწავლო კურსს გააჩნია წინაპირობა;
 - I სემესტრის სტუდენტებისათვის - მათი უნივერსიტეტში ჩარიცხვიდან ორი კვირის განმავლობაში (25 სექტემბრიდან 7 ოქტომბრის ჩათვლით).
5. ფაკულტეტების დეკანებმა:
 - მათთვის მისაღები ფორმით უზრუნველყონ სტუდენტების ინფორმირება ზემოთაღნიშნულის შესახებ აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის №8 და №9 დადგენილებებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესახებ;

- სასწავლო კურსების გრაფიკების შესაბამისად უზრუნველყონ მეოთხე მუხლის ქვეპუნქტებით დადგენილ ვადებში არჩევით საგნებზე სტუდენტთა რეგისტრაცია.
 - განკარგულებით გამოყონ პასუხისმგებელი პირები(პირი), რომლებიც მოახდენენ არჩევითი კურსების სარეგისტრაციო ფორმის შექმნას და უზრუნველყოფენ შემდგომ კონტროლს ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად;
 - მიაწოდონ არჩევითი სასწავლო კურსებისა და თავისუფალი კრედიტების სასწავლო კურსების ნუსხა სპეციალობების მიხედვით სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სასწავლო მეთოდურ განყოფილებას და ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის სამსახურში;
 - უზრუნველყონ კანონით განსაზღვრული მოთხოვნის განხორციელება თითოეული სტუდენტის მიერ წლიურად არაუმეტეს 75 კრედიტის ათვისების შესახებ;
 - უზრუნველყონ სტუდენტების ინფორმირება ზემოთაღნიშნულ საკითხებზე და მათ მიერ რეგისტრაციის ვადების დაცვა;
 - 2020 წლის 24 სექტემბრისთვის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს წარუდგინონ III-V-VII სემესტრის სტუდენტთა რეგისტრაციის საბოლოო შედეგები წარმოდგენილი ცხრილით სახით (იხილეთ დანართი 1), ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მოსამზადებლად ;
 - 2020 წლის 12 ოქტომბრისათვის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს წარუდგინონ I სემესტრის სტუდენტთა რეგისტრაციის საბოლოო შედეგები წარმოდგენილი ცხრილით სახით (იხილეთ დანართი 1), ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მოსამზადებლად;
 - 2020-2021 სასწავლო წლის მეორე სემესტრის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს წარუდგინონ II-IV-VI-VIII სემესტრის სტუდენტთა რეგისტრაციის საბოლოო შედეგები წარმოდგენილი ცხრილით სახით (იხილეთ დანართი 1), ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მოსამზადებლად;
6. ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურმა:
- უზრუნველყოს ფაკულტეტის დეკანების განკარგულებით გამოყოფილი პასუხისმგებელი პირებისათვის(პირისათვის) შესაბამის კონსულტაციების გაწევა.
7. ფაკულტეტების ხარისხის სამსახურებმა, დეპარტამენტებისა და პროგრამის ხელმძღვანელებმა:
- 2020 წლის 21 ივლისის ჩათვლით სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სასწავლო-მეთოდურ განყოფილებას, დეკანებთან შეთანხმებით, წარუდგინონ მომდევნო სასწავლო წლის აკრედიტებული პროგრამების სასწავლო კურსების გრაფიკები, სადაც ასახულია კონკრეტული სემესტრის მიხედვით არჩევითი და თავისუფალი კრედიტის საგნების ჩამონათვალი;
 - უზრუნველყონ სტუდენტების ინფორმირება ზემოთაღნიშნულ საკითხებზე და მათ მიერ რეგისტრაციის ვადების დაცვა;
8. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა:

- სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სასწავლო მეთოდურმა განყოფილებამ (მ.ნიჟარაძე, ლ.ჭელიძე, თ. ლეშკაშელი, ვ. ნაცვლიშვილი) დეკანატის მიერ წარმოდგენილი შედეგების საფუძველზე არჩევითი სასწავლო კურსების, თავისუფალ და აკადემიურ დავალიანებაში დარჩენილ ასათვისებელ კრედიტებზე სტუდენტთა განაწილებისას დაიცვან უნივერსიტეტში აკადემიური ჯგუფის ფორმირების დადგენილი ნორმატივები (ბაკალავრიატის და ერთსაფეხურიანი სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ არჩევით დისციპლინებში ჯგუფში არანაკლებ 5 სტუდენტისა, სრული ჯგუფი არანაკლებ 15 სტუდენტისა, უცხო ენის შემსწავლელ ჯგუფში არანაკლებ 12 სტუდენტისა);
 - არჩევითი სასწავლო კურსების დაკომპლექტების შესაბამისი ბრძანების პროექტი სამსახურის უფროსმა (პროფ. ი. ბასილაძე) წარუდგინოს უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად;
 - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დადგენილი ნორმატივის მოთხოვნებით ჯგუფის ვერ დაკომპლექტების შემთხვევაში დარეგისტრირებულ სტუდენტს მიეცეს ხელახალი რეგისტრაციის უფლება, ამ ბრძანების მესამე და მეოთხე მუხლით დადგენილი ვადებიდან ერთი კვირის განმავლობაში;
9. უნივერსიტეტის კანცელარიის უფროსმა (ე. ცირეკიძემ) უზრუნველყოს ბრძანების დაგზავნა დეკანატებში, ენათა ცენტრში და შესაბამის სამსახურებში;
10. უნივერსიტეტის მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა (ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი) ბრძანების განთავსება უზრუნველყოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ძირითადი მენიუს პუნქტში „სწავლა“, ქვემენიუ: სასწავლო პროცესი;
11. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე უზრუნველყოს რექტორის მოადგილემ ასოც. პროფ. შალვა კირთაძეს.

საფუძველი: აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის დადგენილებები №8 და №9 (17/18).

რექტორი:



პროფესორი როლანდ კოპალიანი

სასწავლო პროცესის მართვის
სამსახურის უფროსი



პროფესორი იმერ ბასილაძე

